# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №15

ჭიათურა

2016 წ. 1 ივლისი

ერთის მხრივ სსიპ „ჭიათურის №7 საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი სათ ბრეგვაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სამშენებლო-საპროექტო ჯგუფი – მომავლის პროექტი - პრო (მისამართი, ჭიათურა, ყაზბეგის ქ. №1) შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის ომ მაჭავარიანი სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ „ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სახსრებით მომსახურებ შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია სსიპ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება, რომელშიც შედის მიმწოდებლის ყველა ხარჯები და გადასახადები,

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

## 6. ანგარიშსწორების ვალუტა, ფორმა, ვადები და ადგილი

6.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია მიმწოდებლისათვის საავანსო თანხის გადახდა.
6.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.
6.5. ანგარიშსწორების ადგილია ქ. ჭიათურა

## 7. მხარეთა უფლება მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მომსახურების მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებლობის შემთხვევაში მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 1%-ის ოდენობით.

## 9. ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების საბოლოო შესრულებამდე.

## 10. ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ

ნებისმიერი ცვლილება ან დამატება წიმამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

## 11. ᲤᲝᲠᲡ-ᲛᲐᲟᲝᲠᲘ

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 12. ᲓᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

13.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლიარი – მიმწოდებელთან.

## 14. ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ:

ᲨᲔᲛᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ

სსიპ „ჭიათურის სოფ. №7 საჯარო სკოლა",

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲫᲘᲡ Ქ№11

საიდენტიფიკაციო კოდი 215606333

დირექტორი: ხათუნა ბრეგვაძე

ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ

შპს „ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ – ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ - ᲞᲠᲝᲛᲝ"

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქ. №1.

ᲢᲔᲚ: 790-818919; E-mai: promo.geo@mail.ru

საიდენტიფიკაციო კოდი 215612120.

ს.ს. „პროკრედიტბანკი"-ს ჭიათურის სერვისცენტრი,

ბანკის კოდი BAGAGE22.

ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №16;

ანგარიშის ნომერი ლარში:

GE35BG0000000967581000;

დირექტორი: თამარ [illegible]

# მიღება – ჩაბარების
# აქტი

ჭიათურა 19 ივლისი 2016 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნი ბრეგვაძე, მეორეს მხრივ შპს „სამშენებლო საპროექტო ჯგუფ-მომავლის პროექტ-პრომოს" დირექტორი ომარ მაჭავარიანი ამ აქტით ვადასტურებთ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2016 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაკვეთილი სამუშაო. დამზადებულია სსიპ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის სკოლის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება

დაკვეთილი სამუშაოს მთლიანი თანხა შეადგენს 733.93 ლარი (შვისაცოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი)

ჩააბარა:

შპს „სამშენებლო საპროექტო ჯგუფ-მომავლის პროექტ-პრომოს" დირექტორი
ომარ მაჭავარიანი

მიიღო:

სსიპ ჭიათურის №7 საჯარო სკოლის
დირექტორი : ხათუნი ბრეგვაძე

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0250616228 |

2 — 20/07/2016
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 — 12:03:53
დრო (საათი, წუთი)

4 — შპს სამშენებლო-საპროექტო ჯგუფი-მომავლის პროექტი-პრომი — 215612120
გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება ან სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5 — სსიპ ქალაქ ჭიათურის #7 საჯარო სკოლა — 215606333
მყიდველის (მიმღების) დასახელება ან სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6 — ოპერაციის შინაარსი — ტრანსპორტირების გარეშე

7 — ჭიათურა თხელიძის 5
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 — X
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9 —
ტრანსპორტირების სახე

10 — X
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11 — სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი — X

12 — გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობის | 2 | ლარი | 1.0000 | 733.9300 | 733.9300 |

13 — 733.93 - შვიდას ოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი
მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14 —
გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15 —
მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 —
ხელმოწერა

17 —
ხელმოწერა

18 — მიწოდებული საქონლის ჩაბარების — 20/07/2016 — 12:03:53
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19 —

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 20/07/2016, 12:08:28